# დროება

№ 190 ხუთშაბათი, 27 აგვისტო 1909 წ. № 190

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირსის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ვრცელ და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედ. არ იხ ნებავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ქართული საზაფხულო თეატრი

ხუთშაბათს, 27 აგვისტოს,

ბენეფისი ლოტბარის

პოლიკარპე ჰ. ფალიაშვილისა

წარმოდგენილი იქნება

1. „რაინდი უშიშარი და გულ მართალი"

ოპერეტა 2 მოქ. მუს. ლეკოკისა.

2. „მეჯლისი იტალიელებით"

ოპერეტა 1 მოქ. მუს. ოფენბახისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, თამარაშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, ხაფაროვი და სხვანი.

რეჟისორი ვასო აბაშიძე. დირიჟორი პ. პ. ფალიაშვილი.

დასაწყისი საღამ. 9 საათზე. ადგილების ფასი 3 მანეთიდან 50 კაპ—მდე.

ბაღში შესვლა უფასოა. (1—6.—1)

## ტფილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

იწვევს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ **თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაზე**, რომელიც მოხდება ამა წლის 15 სექტემბერს თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს სადგომში (ბელინსკის ქ. № 2) დილის 11 საათზე.

**განსახილველი საგანი:**

1. არჩევა ორის ამომრჩევლისა, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს წევრთა (თავად-აზნაურობისაგან) არჩევნებში. (3—6.—1)

## თამბაქოს ქარხანა

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

„ტოვარიში"—20 ცალი 5 კაპ. (სამ. ფორმ.)

„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ. (წვრ. ფორმ.)

**შენიშვნა:** სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. **მოითხოვეთ ყველგან.**

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (19—ნას.—8)

**ექიმი** კაკიტელაშვილი

ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—51)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—33.—47)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—33.—4)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხაროვსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—1 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდოროვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—235)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების იღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 145)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—5)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—10)

**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ნალ.—17)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ჰოროხნი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—142)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოლესკი—შინაგანი, ჰიპნოზი, ყოველ დღე 4—5 საათ.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

არღუთინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—84)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „**გუთანი**", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—14)

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „**ადვოკატთან**", „**ტაინი სოვეტნიკის სიზმარი**" და „**უბედური დღე**". **წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. **წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ** პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—6.—2)

**მ**ცხეთის სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის სკოლის

## საბჭო

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. შესანახი ფასი პანსიონში, საბჭოს დადგენილებით, წელიწადში არის თორმეტი (120 მ.) თუმანი; ხოლო პირველს წელიწადს პირველი მოსამზადებელი—ორი თუმანი (20 მ.) უფასოდ არავინ არ იქმნება მიღებული არც პანსიონში და არც გარედან მოსიარულე. ვინც უკვე მიღებული იყო ნაკლებ ფასში, თუ არ შემოიტანს ზემო-აღნიშნულს ფასს, თორმეტ თუმანს, დათხოვნილი იქნება პანსიონიდან. გარედან მოსიარულე მოწაფე იხდის სწავლის ფასს წელიწადში 25 მან.

თავმჯდომ. საბჭოსი წინამძღვარი მონასტრისა **მონაზონი ნინო**. (6—415—5)

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 3)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

**გიორგი მიხეილის ძის ჩიგაძისა ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.**

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით. (10—6.—4)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ორიოდე დღის წინად ჩვენსა და სხვა გაზეთებში დაიბეჭდა წერილი ბ-ნთ ალ. ყიფშიძისა, გ. გვაზავასი და სხვათა იმის შესახებ, რომ ისინი აღარ თანამშრომლობენ „ზაკავკაზიე"-ში. როგორცა ხედავთ, ფაქტი სულ უბრალოა. ყოფილი თანამშრომელნი აცხადებენ, ამა და ამ გაზეთში მონაწილეობას აღარ ვიღებთო. მაგრამ ამ უბრალო ფაქტის გამო ჯერ „ტიფ. ლისტოკმა" ასტეხა განგაში და მერე „ზაკავ."-მ. პირველმა გაზეთმა შემთხვევა გამოიყენა თავის სასარგებლოდ, მაგრამ სწორედ გასაკვირველია საქციელი „ზაკავკაზიე"-ს პუბლიცისტებისა, რომელნიც ლანძღვა-გინებით იხსენიებენ გუშინდელ თავიანთ მეგობრებს და თანამეკალმეებს. ამ ფაქტის გამო უკვე სამი თუ ოთხი წერილი დაიბეჭდა. პირველ წერილშივე წასულ თანამშრომელთ „ბნელი ელემენტები" უწოდეს. გუშინდელ ნომერში კიდევ ბ-ნი სპერანსკი ვინ იცის, რა ეპითეტებით არ უმასპინძლდება მათ! გასაოცარია სწორედ ტფილისელ პუბლიცისტების საქმე: მუშაობენ მთელი თვეობით და წლობით ერთად, მერე მოუვათ პატარა კინკლაობა და მოჰყვებიან ერთმანეთის ლანძღვას. მაშინ გამოირკვევა, რომ ორივე მხარე უნიჭოც ყოფილა, „ბნელი ელემენტიც" და გარქვერაც... ილანძღებიან უდიერად და ჰგონიათ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს გაზეთის მასალა და მკითხველებისთვისაც ყველაზე საინტერესო ეს არის.

ასე იქცევა სწორედ გუშინდელ „ზაკავაზიე"-ში „სპერანსკი". იგი ყიფშიძეს, გვაზავას და სხვებს აღარც ჟურნალისტებად სცნობს და აღარც კაცებად. აგდებს სხვებზე არას ვიტყვით და, მაგალითად, ალ. ყიფშიძეს შესახებ ბ-ნ სპერანსკის სიტყვები, მეტი რომ არა ვთქვათ, უდიერობაა. თამამად და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სამწერლო ასპარეზზე ალ. ყიფშიძეს გაცილებით მეტი ღვაწლი მიუძღვის, ვიდრე სპერანსკის, და თვით „ზაკავ."-შიც ყველაზე საინტერესო წერილები სწორედ ყიფშიძისა იყო. ან იქნებ ბ-ნ სპერანსკის ჰგონია, რომ ნამდვილი ჟურნალისტობა ის არის, რომ ჯერ ხაჩატუროვი ლანძღო, მერე გოთუა, ამირაჯიბი, კვლავ ხაჩატუროვი და ასე ბოლომდე იმისდა მიხედვით, თუ სად მოიკალათებს?

* *
*

„ივერია" უკანასკნელ ნომერში რაღაცას გვისაყვედურებს, ჩემი წერილის გამო რატომ ხმა არ ამოიღეთო. „ახირებული პრეტენზიაა" სწორედ! შეიძლება კაცმა არც კი წაიკითხოს „ივერია" და „ივერიელები"-კი ხმის ამოღებასაც თხოულობენ. ამ გაზეთმა წინა ნომერში შეუფერებელი წერილი დაბეჭდა განსვენებულ ჯუღელის დაკრძალვის შესახებ. საყვედურს აცხადებდა, რატომ დასაფლავებას იმდენი სომეხი და რუსი არ დაესწრო, რამდენიც ქართველიო. ამ კითხვის შემდეგ უკმაყოფილებას უცხადებდა ს.-დემოკრატებს. დალოცვილს, თუ უნდოდა უკმაყოფილება გამოეცხადებინა ს.-დემოკრატებისათვის, მიცვალებული რაღა შუაში იყო?

მაგრამ სცდება „ივერია": ჩვენ არ გავჩუმებულვართ, როგორც იგი აუწყებს თავის მკითხველებს, და ორშაბათს რომ „ივერია" გამოვიდა, კვირის ნომერში, ესე იგი ერთი დღის წინად ჩვენ ვწერდით:

> როგორც სჩანს, გაზეთ „ივერია"-საც ზედ-მეტ ბარგად უცვნია თავი. თუ ეს ასე არ არის, მაშ რად გაჰკრა ენამ თავის დაუკითხავად? მაშ რად ჩემულობს იგი, რად იღებს მეხაფლავის მონოპოლიას? ასსნა აქ ერთად ერთია: მას სურს, ვინც „გაპატრიოტებას" ამ საიქიოს ვერ მოხძლო, იმ საიქიოს „გააპატრიოტოს", ამ აზრით იგი ურჩ მიცვალებულს მისძახის: აი, აჰა, ჩვენ, ქართველები, ქართულად გმარხავთ და ნუ თუ „ჩვენს საქართველოსა ეხლა მაინც არ შეიყვარებო!

ხწორედ ასეთი წერილი უძღვნა „ივერიამ" ს. ჯუღელის დასაფლავებას. და მეც ამ წინ დაუხედავ, თავ-დაუკითხავ ენის ჭრიჭინიდან მხოლოდ ის აზრი გამოვიყვანე, რომ „ივერიას" იმ საიქიოსაც „სამშობლო" ჰქონია!

ეს მცირე რამ საოხუნჯო ფელეტონის ბოლოში დაიბეჭდა. სხვაგვარად და სხვა რამეს მოთავსება „ივერიის" წერილის გამო ჩვენ საჭიროდ არა ვცანით.

* *
*

„გოლ. მოსკ." ეხება რუსეთისა და სპარსეთის ეხლანდელ მდგომარეობას და სწუხს, რომ რუსეთსა და სპარსეთს შორის მტრობა ჩამოვარდაო. გაზეთი რუსის ელჩს სპარსეთში ურჩევს, ილონოს ყოველი ღონე და სპარსეთში რუსეთის სახელი აამაღლოს, განამტკიცოს რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა სპარსეთში. გაზეთი სწერს:

> იყო დრო, როდესაც სიტყვა „რუსს" სპარსელები მოწიწებით და დიდის პატივისცემით წარმოსთქვამდნენ, მაგრამ ეს დრო წავიდა, გაჰქრა. სპარსელები ეხლა მტრულად გვიცქერიან და ეს ადვილი გასაგებია. ამ უკანასკნელ წელს, რევოლიუციის დროს, რუსეთი სპარსეთის წინააღმდეგ წავიდა და ამის შემდეგ განა ეს მოსალოდნელი არ იყო? ამით სარგებლობდნენ და სარგებლობენ ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან სპარსეთიდან რუსეთის განდევნით. რუსეთის პრესაში არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ სპარსეთისა და რუსეთის ურთიერთ მდგომარეობის გაფუჭებაში გერმანია დიდ როლს თამაშობდა.

ამის შემდეგ გაზეთი რუსეთის ელჩს ბ-ნ პოკლევსკი-კოზელს ურჩევს საქმის გამოკეთებას. გაზეთის აზრით „რუსეთის ელჩმა მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც უნდა დაუმტკიცოს სპარსელებს, რომ რუსეთი სპარსეთის ახალ რეჟიმს აღიარებს". ყველა ამისთვის კი საჭიროა, რომ სპარსეთის ახალ მთავრობას თავისუფლება მიეცეს, წესიერება აღადგინოს და მართოს სპარსეთი, როგორც მოისურვებს. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ბევრად უკეთესი იქნებოდა, გაზეთს ეს ერჩია ელჩისათვის და სხვებისათვისაც ორი წლის წინად, როდესაც ხალხის ნაცვლად გადაყენებულ შაჰს უჭერდნენ მხარს. მაშინ აღარც ამდენი სისხლი დაიღვრებოდა.

* *
*

„რეჩი" ეხება ადმინისტრაციის მოქმედების ერთ მხარეს, სახელდობრ იმას რომ ამ უკანასკნელ წლებში ადმინისტრაციამ რუსეთის მცხოვრებნი ორ კატეგორიად გაჰყო, ერთს ყველაფრის ჩადენა შეუძლიან, მეორეს—ყველაფერი აკრძალული აქვს, რისთვისაც ერთს სდევნიან, მეორეს საიდუმლოდ თავზე ხელს უსვამენ და აჯილდოვებენ. გაზეთს საკმაო მაგალითები მოჰყავს. გაზეთი სწუხს, „ადმინისტრაციის სასამართლოც ჰბაძავს და ეს იმის ნიშანია, რომ მთავრობა უფლებრივ გრძნობას ჰკარგავსო".

> გაზეთ „ხარბინის" რედაქტორი ნიკოლოზ ფედოროვი სამართალში მისცეს. გაზეთში დაბეჭდილი ყოფილა წერილი, რომელშიაც ავტორი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შედეგებს არკვევდა. საბრალმდებლო ოქმში, სხვათა შორის, ნათქვამია: წერილის ავტორი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობას უნაყოფოდ სთვლის. წერილის ავტორის აზრით სათათბიროს არც ერთი პრინციპიალური კანონპროექტი არ მიუღია, გარდა სარწმუნოების თავისუფლებისა და ამტკიცებს, რომ სათათბიროს წარხული მუშაობა არა-რუსთა დევნაში გამოიხატა. ამასთან ავტორი ამბობს, რომ სათათბირო პირში აფურთხებდა (плевали въ лицо) ფინლიანდიელებს, კავკასიელებს, პოლონელებს. ებრაელებზე ლაპარაკიც ხომ მეტიაო. ამისთვის გაზეთ „ხარბინის" რედაქტორს ბრალდება სახელმწიფო სათათბიროს საწინააღმდეგო ცნობების გავრცელება..

სასამართლო სახელმწიფო სათათბიროს პრესტიჟს იცავს. ეს საქებურიც არის, რადგან რაც გინდა იყოს სახელმწიფო სათათბირო ცოტად თუ ბევრად წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ „ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია". სასამართლო აქ ადმინისტრაციასა ჰბაძავს და ჯავრს ყრილობს.

> „ხარბინი" მემარცხენე გაზეთია. მას სამართალში აძლევენ სახელმწიფო სათათბიროს შეურაცხყოფისათვის, სათათბიროს პრესტიჟს იცავენ. მაგრამ საკმაოა სულ ცოტა კეთილსინიდისიერება, კაცმა დაინახოს, რომ „ხარბინ"-ში მოთავსებული წერილი ასჯერ ნაკლებ შეურაცხყოფას აყენებს სათათბიროს, სანამ „რუსკოე ზნამია", „ზემშჩინა" და «ვეჩე», რომელნიც სათათბიროზე ყოველ დღე სწერენ. „ქიდებისა" და „ბიროტმოქმედებების ბრბოდ", „მასონებისგან მოსყიდულებიდ". აი ამისთანა ეპიტეტებით უმასპინძლდება ზემოდ მოყვანილი პრესა სახელმწიფო სათათბიროს და, მიუხედავად ამისა, სასამართლო არ ამჩნევს და არც სამართალში მიცემაზე ჰფიქრობს. სასამართლო გულცივად უყურებს სახელმწიფო სათათბიროს შეურაცხყოფას იმ გაზეთების მიერ, რომელთაც ჯარსა და ხალხში ავრცელებენ გუბერნატორები და ჯარის ზოგიერთი უფროსები. მაგრამ ხელში მოჰხვდებათ თუ არა მემარცხენე გაზეთი, მის სამართალში მისაცემად ყოველნაირი მიზეზი მოიძებნება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო

### სპარსეთი

**თავრიზი.** ჩრდილოეთ ყარადაღში შეტაკება მოუვიდათ კაპიტან საველიევის და ალიხანოვის რაზმებს. ალიხანოვის რაზმი რუს ქვეშევრდომების სოფლებს სძარცვავდა. ყარადაღელებმა დაჰკარგეს 2 მოკლული, 1 დაჭრილი, რუსებმა ერთი დაჭრილი.

**თეირანი.** საჯაროდ დახვრიტეს ფიდაი, რომელმაც სრულიად შემთხვევით მოჰკლა სამი კაცი.

შაჰად ნაყოფი რუსეთში 29 აგვისტოს მიემგზავრება. სპარსეთის მთავრობამ რუსეთის საელჩოში უკვე შეიტანა შაჰად ნამყოფის პენსიის ნაწილი—50,000 მანეთი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** ყირიმში იგზავნება განსაკუთრებული საელჩო. საელჩოს ჭმეთაურობს გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ ფაშა. საელჩო სულთნის სახელით მიესალმება ხელმწიფე—იმპერატორს.

სულთანმა დაჰკანონა მაგარ სასმელების შესახებ კანონ-პროექტი. კანონით ოსმალეთში აკრძალულია ისეთ სასმელების გაყიდვა, რომლებიც ყურძნის სპირტისგან არ არიან დამზადებულნი. ასეთი სასმელები უნდა გაიწმინდოს და და ისე გაიყიდოს.

ამ უკანასკნელ დღეებში სტამბოლში ,მატარებლები იგვიანებენ. მიზეზი ის არის, რომ ალბანიაში ჯარი გადაჰყავთ და ეს აფერხებს მატარებლების წესიერ მიმოსვლას.

გენერალისიმუსი ,შეფკეთ—ფაშა სალონიკში წავიდა.

**სალონიკი.** 21 აგვისტოს პრიზრენის მახლობლად შეიკრიბნენ ალბანელთა მეთაურები. მეთაურებმა დაადგინეს, და ვემორჩილებით მხოლოდ შარიატს და სულთანსო.

23 აგვისტოს მიტროვიციდან ალბანელებზე გასალაშქრებლად წავიდა ჯევად-ფაშა. ჯევად-ფაშას თან ახლავს ჯარის ერთი ბატალიონი და ოთხი ტყვიის მტყორცნელი. ამავე მიზნით უსკიუბიდან და იპეკიდან ვერისავეცში გაიგზავნა მსროლელთა ორი ბატალიონი. ვერისავეცსა და პრიზრენს შუა ჯევად-ფაშას თავს დაეცნენ ალბანელები. მოკლულია რამდენიმე სალდათი. ჩრდილოეთ ალბანიაში დღითი-დღე ძლიერდება მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა.

### საზღვარ-გარედ.

**სან-ფრანცისკო.** წყნარ ოკეანეს პირველი ესკადრა აზიის წყლებში წავიდა. ესკადრა აზიის წყლებში ხუთი თვე დარჩება. ესკადრაში შედის 8 ჯავშნიანი კრეისერი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტომ პოლიარულ ქვეყნების გამომკვლეველ პირისაგან (ამერიკელია) შემდეგი დეპეშა მიიღო: „შეერთებულ შტატების დროშა ჩრდილოეთის პოლიუსზე ფრიალობს“. დეპეშა გამოგზავნილია კუნძულ ნიუ-ფაუნდლენდიდან.

**სენდჟონს** (კუნძული ნიუფაუნლენდი). ინდოეთის ნავთსადგურიდან პირმა ნიუფაუნლენდის გუბერნატორს დეპეშა გაუგზავნა. პირი იტყობინება,“ ჩრდილოეთის პოლიუსი აღმოვაჩინეო და ნიუფაუნდლენდის მცხოვრებლებს სალამს უძღვნის. იმ გემზე, რომლითაც პირი ჩრდილოეთ პოლიუსზე მივიდა, კაპიტნად და მატროსებად ნიუფაუნდლენდელები ყოფილან.

**ნიუ-იორკი.** „ნიუ-იორკ-ტაიმს“ ინდოეთის ნავთსადგურიდან დეპეშა მოუვიდა. როგორც ამ დეპეშიდან სჩანს, პირი ჩრდილოეთის პოლიუსზე 24 აგვისტოს მისულა.

**მელილია.** გენერალ უკვილერის რაზმმა უკუაგდო 1500 მავრი. ამის შემდეგ რაზმის ნაწილმა დაიჭირა მაიენბრაინი. მავრებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ესპანელებს დაუჭრეს 10, მოუკლეს 1 კაცი.

**ათინა.** ოფიციალურ ორგანოში დაბეჭდილია მთავრობის ბრძანება. ამ ბრძანებით პრინცი ქრისტოფორე სამი წლით გერმანიაში წავა, პრინცი გიორგი, მემკვიდრის შვილი, გერმანიაშივე, ორი წლით სწავლის დასამთავრებლად. ხვალ გამოცხადდება ბრძანება, რომლითაც ტახტის მემკვიდრე და პრინცი ნიკოლოოზ სამსახურიდან გადადგებიან.

**სენდჯონსი.** პირი ამტკიცებს, ჩრდილოეთის პოლიუსი პირველად მე აღმოვაჩინეო. პირის გემის კაპიტანის ბარტლეტტის სიტყვით, პირის ექსპედიციას არავითარი ნიშნები არ უნახავს, რომლებიც ამტკიცებდნენ კუკის პოლიუსზე ყოფნას.

## რუსეთი

**პოლტავა.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი ლეონტკოვიჩი.

**ჩერნიგოვი.** სოფელ ვიაზნოვკაში გადაიწვა 13 სახლი. დაიწვა წრევანდელი მოსავალი.

სოფელ კუპირშჩინაში გადაიწვა 63 სახლი. დაიწვა წრევანდელი მოსავალი.

**კერჩი.** ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრი კანდოიდი. კანდოიდი გამოიძიებს კერჩის პოლიცმეისტრად ნამყოფის ვრინეკის საქმეს, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტ მოქმედება ბრალდება.

**სარატოვი.** სოფ. პესჩანკაში გადაიწვა 38 სახლი. ამას გარდა იწვის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის გრაფ უვაროვ ს ტყე. ჯერ-ჯერობით დაიწვა 38 დღიური.

**კრასნოგორსკი.** სადგურ პოლეზნის ახლო ბოროტ-განზრახველები თავს დაეცნენ მოიჯარადრე ქერკოვის მეარტელეს. მოკლულია მეარტელე. საგრობო დარაჯი და კანტორშჩიკი, დაჭრილია მეეტლე. გაიტაცეს 6000 მანეთი. ბოროტგამზრახველები მიიმალნენ.

**ტამბოვი.** 24 აგვისტოს კირსანოვის მაზრაში გაცარცვეს საგლეხო ბანკის მეარტელე. ბოროტგანზრახველებმა წაიღეს 4000 მანეთი. 25 აგვისტოს პოლიციამ მიაგნო ბოროტგანზრახველების ბინას. ბოროტგანზრახველები აღმოჩნდნენ სოფელ კიპეცში, ერთ აზნაურის სახლში. პოლიციას ბოროტგანზრახველებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. სროლის დროს დაიჭრა ცნობილი ყაჩაღი კისელევი, დანარჩენები დააპატიმრეს. ბოროტგანზრახველებს გატაცებულ ფულიდან 1800 მანეთი აღმოაჩნდათ.

**სიმბირსკი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი პოლივანოვი.

**პეტერბურგი.** მთავრობა აცხადებს: ამ უკანასკნელ დროს გაზეთები ხმას ავრცელებენ, ვითომ მთავრობას თვითეულ შემთხვევაში შეეძლოს ფინლიანდიის სასამართლოს ესა და თუ ის დამნაშავე არ გადასცეს. ჯერ ერთი, ფინლიანდია რუსეთის იმპერიის ნაწილია და აქ ადგილი არა აქვს გაცემას, ან არ გაცემას; მეორეც—შემცდარია ის აზრი, ვითომ ამის შესახებ კანონები მთავრობას ნებას აძლევდნენ, თვითეულ შემთხვევაში ისე მოიქცეს, როგორც სურს. კანონებში პირდაპირ არის ნათქვამი, ფინლიანდიის ტერიტორიაზე მომხდარი ბოროტ-მოქმედება ფინლიანდიის სასამართლომ უნდა გაარჩიოსო და მაგალითიც არა ყოფილა, რომ მთავრობას ამ კანონისთვის ეღალატოს. ზოგიერთებს პროკოპეს და გუბერნატორ კაიგაროლოვის საქმეები მოჰყავთ, მაგრამ აქ სხვანაირად მოხდა. პროკოპეს საქმეს სამხედრო სასამართლო არჩევდა, კაიგაროლოვს კი სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა და რადგანაც კაიგაროლოვი რუსის მოხელე იყო, მისი საქმეც რუსეთის სასამართლომ გაარჩია. ამას ის უნდა დავუმატოთ, რომ დაინტერესებულმა პირებმა ხელმწიფე-იმპერატორს თხოვნა მიართვეს,—შუამდგომლობდნენ, ზოგიერთი საქმე ფინლიანდიის სასამართლოდან რუსეთის სასამართლოში იქმნას გადატანილიო. ამის გამო ხელმწიფე-იმპერატორმა ბრძანა, კანონის ძალით მოიქეცითო.

## ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 27, გარდაიცვალა 1, ავად არის 298 კაცი.

# ქართლის ვითარება

(მგზავრის შენიშვნები)

სურვილი მაქვს, შეძლებისდაგვარად, ჩვენი ტურფა სამშობლოს ყველა კუთხე მივიარ-მოვიარო, რომ ცოტაოდენი წარმოდგენა ვიქონიო იმის აწინდელ ყოფა-ცხოვრებაზე. აქ არ გამოვუდგები იმის გამოძიებას, თუ რამდენად ბუნებრივი და თან სავალდებულოა ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებულ მამულიშვილისათვის თავის ქვეყნის ადგილობრივ დათვალიერებაც კი. ისედაც ყველასათვის ცხადია ეს დღეს, როდესაც ვხედავთ განუწყვეტელ რიგს ექსკურსანტებისას, რომელნიც არა კმაყოფილდებიან მარტოოდენ წიგნებიდან ამოკითხულ ცნობებით და მისწრაფ-მოისწრაფიან ქვეყნების გასაცნობ-შესასწავლად.

არც დრო და არც სხვა გარემოება ხელს არ მიწყობდა, რომ თავის დროზე ექსკურსანტთა წრეებში მოვხვედროდი და ისე მემგზავრა, ამიტომ ეხლა ვსარგებლობ რაიმე შემთხვევით—წელს ჩვენი ქვეყნის ერთ კუთხეში მოვხვდე, გაის მეორეში და ასე... ამ ხანად შემთხვევა მომეცა, დიდი ხნის ნატვრა ამსრულებოდა—ქართლისკენ მემგზავრა, ქართლი მენახა...

ქართლი — გულია საქართველოსი. აქა სცემდა და დღესაც აქ ისმის ქართველ ერის მაჯის ცემა. ქართლი აკვანია საქართველოს ქრისტიანულ კულტურისა. ქართლი იყო ის ზღუდე, რომელსაც შეენარცხნენ აურაცხელი ურდოები სპარს-ოსმალ-ლეკ-თათართა. ამათ ჩვენ დამონავებას შეალიეს მთელი თავიანთი ძალ-ღონე, გარნა ჩვენ წინააღმდეგ მომართულ განუწყვეტელ ბრძოლით თითონაც „წახდნენ და ჩვენც წაგვახდინეს“... ქართლმა თავის გეოგრაფიულ მდებარეობის გამო განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართველის ბედში. პირველი მრისხანე იერიშები მტრებს ჯერ ქართლზე მოჰქონდათ ხოლმე, ამიტომ ქართლი მუდამ დიდ განსაცდელსა და გაჭირვებაში ყოფილა. განუწყვეტელ აკლება-განიავებისაგან ქართლელი მშრომელი ხალხი ოთხად იყო წელში გაღუნული, მას ნაღვლიანობა დასჩემდა, ის მუდამ თავჩაქინდრული ჩასცქეროდა დედა-მიწას და ტკბილ-მწარე ღიღინით განაგრძობდა თავის უმადურ, ხშირად აუტანელ სიცოცხლეს...

ასე იყო ძველად. დადგა ახალი დრო, მაგრამ რაც ძველმა დააკლო, ახალმა შეუვსო. ქართლმა პირველმა იგემა ბიუროკრატიის განმანადგურებელი მართვა-გამგეობა. ამ ბიუროკრატიის წინააღმდეგ ამტყდარ საყოველთაო განმთავისუფლებელ მოძრაობაშიაც ქართლმა განსაკუთრებული როლი ითამაშა, არსად ისეთი სტიქიური ხასიათი არ მიუღია მოძრაობას, როგორც ქართლში. ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ჩვენს დროულ გამოცემებში, მაგრამ დაწერილს და თქმულს ბევრად აღემატება სინამდვილე.

მოძრაობისაგან ქართლზე დაჩნეული წყლული იმდენად ღრმა და მწვავეა, რომ იმის პირის შეკვრა-შეშუშებისათვის საჭიროა კულტურული ხელის შეწყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართლი კვლავად ისევ მოუმზადებლად, ისევ ინსტიქტით იხელმძღვანელებს.

მე მივიარ-მოვიარე დიდ-პატარა ლიახვის ხეობათა მიდამოები. საკუთარ თვალით და ყურით ნახულ-გაგონილის შემდეგ უნებლიეთ ამოვიძახე—ნეტავ არ მენახა მეთქი. დამარწმუნეს, რომ ქართლის არც სხვა კუთხეებია უკეთეს მდგომარეობაში, და თუ ეს ასეა, მაშინ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ასე უპატრონოდ, უხელმძღვანელოდ დაგდებული მხარე იშვიათად უნდა მოიპოვებოდეს სადმე. არავითარი შეგნება-განვითარების ნიშან-წყალი არ ეტყობა აქაურ გლეხობას. ამათ კი ერთ დროს მაღალ-მაღალ თეორიებს უქადაგებდნენ და თითქოს ნიადაგსაც პოულობდნენ მათში ამ თეორიის განსახორციელებლად.

დავიწყოთ იქიდან, რომ აქაურ გლეხობის თითქმის ორი მესამედი ისევ ბატონ-ყმობის უღელშია შებმული. ესენი დღესაც ეგრედ წოდებულ „დროებით ვალდებულებად“ ირიცხებიან (ასეთი გაუთავებელი ვალდებულებაც არ გაგონილა!). ამათი „ბატონები“ კი, რომელთაც მოთმინებიდან გამოსულ-გაბოროტებულ გლეხობისაგან შიშის ქარი ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი, ჩქარობდნენ რაც შეიძლება მალე მიეყიდ-მოეყიდათ მამა-პაპეული ადგილ-მამული. იყო დრო, როდესაც ეს გლეხობის მარჩენელი თავად-აზნაურთა ადგილ-მამული სულ მცირე ფასად ეთმობოდა გლეხობას. მაგრამ იმ დროს მიწის მუშა ადგილის შეძენის გუნებაზე არ იყო... ამ სახით მიწის ხელ-საყრელ ფასებში შეძენის მარჯვე დრო გლეხობას ხელიდან გაუსხლტა. რეაქციის გამეფება-გაძლიერების დაგვარად კი ჩვენმა თავად-აზნაურობამაც ძალ-ღონე მოიკრიფა, წელში გასწორდა და ეხლა გარემოება ხელს უწყობს ადგილ-მამული დიდ ფასად მიჰყიდოს ან „საგლეხო ბანკს“, ან და გერმანელ კოლონისტებს. ან ერთის ან მეორეთა ხელში გადასულ მამულთა უმეტესი ნაწილი ქართლელ გლეხობისათვის სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება მოგეხსენებოდეს, მკითხველო, რომ „საგლეხო ბანკი“ „ჭეშმარიტ რუსთა“ პოლიტიკას აწარმოებს ჩვენში, გარნა გერმანელი კოლონისტები სულ არ გააჭაჭანებენ ჩვენს გლეხებს ახლად შეძენილ მიწა-ადგილზე, რომელნიც უხსოვარ დროიდან ჩვენი გლეხობის ხმარებაში იყო, თუმცა თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენდა. ჯერ კიდევ ძნელია გავითვალისწინოთ ყველა საბედისწერო შედეგი აგრარულ საკითხის ასეთ მიმდინარეობისა როგორც გლეხობისათვის კერძოდ, ისე ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის საზოგადოდ. მხოლოდ ის კი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ქართველ ერს ტერიტორიის ასეთი აჭრელება სიკეთეს არ დააყრის. აქ უნებლიეთ მაგონდება დიდებულ [illegible] აფორიზმი: „რაი არიან მდიდარნი, არა ბრძენნი, თუ [illegible] გასუქებულნი?! რაი არიან ღარიბნი, საქმის ვითარებათა შეუგნებელნი, თუ არ სახედარნი წინასწარ განწესებულნი სატვირთოთა ზიდვად?!“ რომელთა ასხენ ყურნი სმენად—ისმინნეს!..

„სიბრძნე“ და „საქმის ვითარებათა შეგნება“—აი, ქვაკუთხედი ადამიანის ცხოვრების კულტურულად მოგვარებისა! ერთიც და მეორეც შეიძინების ხოლმე სწავლა-განათლებით, გონება-ზნეობის განვითარება-გაფაქიზებით. ვერაფერი ვერ უშველის ამა თუ იმ ერს. ვერ გააუმჯობესებს მისს მდგომარეობას, თუ იგი შემეცნებით, შეგნებით არ უხვდება ყოველ მოვლენას, თუ მასში არ არის გაღვიძებულ-ამოძრავებული დაუცხრომელი მისწრაფება წინსვლისადმი. ხალხის შეგნება, მისი თვალთ-ხედვის ისრის სიმახვილე პირველ ყოვლისა გამოიხატება ხოლმე მისს ცხოვრების გარეგან პირობათა მოწყობაში, მის ყოფა-მდგომარეობაში. ამ მხრივ ქართლის სოფელი ძლიერ დაძაბუნებული მეჩვენა. გეგონებოდათ, აი ეს არის ეხლა გამოსულან აქედან შაჰ-აბაზის ურდოები, რომელთაც სულ ერთიანად აუოხრებიათ აქაურობაო! საცოდავად მიყრილ-მოყრილი ქოხ-მახები, ჩამონგრეული ყორე-კედლები, თვითოეულ ფეხის გადადგმაზე ამართული პატივის გორები, სპეციფიური სუნი, ჭუჭყი და სიბინძურე,—აი, რას ხვდებით ქართლის სოფლებში, რომელნიც ბუნებით უხვად ,არიან დაჯილდოებულნი, გარნა რამდენად ბუნებრივად თვალწარმტაცია ესა თუ ის სოფელი, იმდენად უფრო გულსაკლავია მისი ასეთი აოხრებული მდგომარეობა!

ავიღოთ თვით დაბა ცხინვალი, რომელიც ადმინისტრატიულ-ეკონომიური ცენტრია. დაბა ცხინვალი არაფრით არ განირჩევა ქართლის სოფლისაგან, პირიქით თავის ჩაჩხირულ, დახავსებულ ყავრებით გადახურულ დუქან-ქოხებით, საარაკო ანტისანიტარულ მდგომარეობით, ბევრად ჩამოუვარდება გარშემორტყმულ სოფლებს! მარტო ებრაელების უბანი რადა ღირს! იმ დალოცვილებმა ფეხის ალაგები მაინც გაიჩინონ, რომ განავალი პირ და პირ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელებს თავზე არ გადაასხან ხოლმე!. ამიტომ ისეა აშმორებული აქაურობა, რომ, თუ არ ცხვირახვეული, ისე ვერ გაივლით ამ უბანში. მაგრამ რა ებრაელების უბანი და რა აქაურ ქსენონის ეზო-მიდამოები! ის დაწესებულება, რომელიც თითქოს ხალხის ჯან-მრთელობაზე საზრუნავად არის ხოლმე მოწოდებული, თვით ისეთ ლაფსა და უსუფთაობაშია გახვეული, რომ ძალა-უნებურად იქცევს

# ჩვენებური ფილისტერობა და ეროვნული საკითხი

(შემდეგი *)

რაც შეეხება ტერრიტორიას, იგი ხომ მიდის ხელიდან და სხვა ესახლება, სხვა ენისა და სხვა კულტურის ხალხი. რაჟდენიძე მიკიჟინებს, თურმე ჩემი alter ego ალაროდიელი ამბობდა, საქართველოს ტერრიტორიაზე არავინ არიან ქართველების მეტი, ეხლა კი ჩვენი ტერრიტორია სულ სხვას უჭირავსო, მაგრამ არც ერთი უთქვამს ალაროდიელს და არც მეორე, და თუ ბ-ნ რაჟდენიძეს არა ესმის რა, როცა რამეს კითხულობს, ეს რა ალაროდიელის ბრალია. ალარიადიელი ბ ნ ანს უპასუხებდა, იმ ანს, რომელიც გაიძახოდა—საქართველოს ტერრიტორიაზე ნახევარი სხვა არის და რიღას ავტონომია შეიძლება ჩვენშიო. ყალბი ცნობებით ქვეყანას ატყუებდა ბ-ნი ანი. ალაროდიელმა კი სთქვა,—საქართველოს ტერრიტორიაზე კიდევ სცხოვრობს 70,5% ქართველობა, ტერრიტორია უმეტეს ნაწილად ტფილისის გუბერნიაში გვერთმევა, მაგრამ ეხლაც კი იქ 50,9% ქართველობაა. განსაკუთრებით ქალაქებში და ორ მაზრაში, ახალქალაქისაში და ბორჩალოსაში არის უცხო ელემენტები, და ამ ორი მაზრისა და ქალაქების გულისთვის ერს ავტონომია ვერ წაერთმევაო. აი, რა სთქვა ალაროდიელმა, ხოლო ისიც ზედ დაუმატა, რომ ასეთი ტენდენცია ჩვენი ელემენტის შემცირებისა და სხვისის განმრავლებისა ძლიერდება. ბიუროკრატია ცალკე და სხვანი ცალკე სცდილობენ ტერრიტორიის წართმევასა და საქართველოს მოსპობას, და ავტონომიაც სწორედ მიტომ გვინდა, რომ ეს ჩვენი დამღუპველი მოვლენა შევაჩეროთ. და თუ არ იქნა ავტონომია, ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება,—ეხლანდელი პოლიტიკა, უცხოს ენერგია და ჩვენი სიგლახე, სწორედ ჩვენი თავად-აზნაურობის ეკონომიური დაქვეითება და ბურჟუაზიის არარაობა სულ მოგვისპობს ტერრიტორიას. და მართლაც, ჩვენ რომ განვითარებული ბურჟუაზიული კლასსი გვყავდეს, ჩვენი ტერრიტორიის წაგლეჯას მოახერხებდა ვინმე? თუ თვით გერმანიას გაუმკლავდნენ პოლონელები ეროვნულ ბანკებით, ჩვენ უფრო სუსტს მტრებს ვერ გავუმკლავდებოდით? მაგრამ სწორედ ის არის უბედურება, რომ შაური არ მოგვეპოვება, მართლაც მთელი ერია „გაპროლეტარებული“!

ქართველ პროლეტარიატის იმედით კი საქართველო ვერ იხსნის თავს. ქართველი პროლეტარიატი ეროვნული ძალა არ არის არც თავის რიცხვით, არც თავის ღირსებით. იგი წვეთია ეროვნულ ზღვაში. გარდა ამისა, უეჭველია, რომ უცხო ბურჟუაზია ქართველ პროლეტარიატს გაურბის, მას თავისი ჰყავს და ისეთია მათ შორის სოლიდარობა, რომ მოუვლის კიდეც, მოუვლის ათასგვარად დევნილსა და აწიოკებულს. მოუვლის და ვერც გაამტყუნებ. ასეთი პროცესსი კი ფულით ჩვენი დაპყრობისა, ჩვენი პროლეტარიატის დევნისა და სხვისი განმრავლებისა ჩვენ ქვეყანაში არსებობს, ძლიერდება, შემდეგ უფრო თვალსაჩინო იქნება, რაც უნდა იყვიროს რაჟდენიძემ, ხოლო შედეგი მისი იქნება უარყოფა ჩვენის პროლეტარიატის მიერ სხვასთან სოლიდარობისა და ქლეტა და ხოცვა მშიერთა ურთი-ერთის მიერ. ერთად-ერთი გზა — ავტონომიაა, რომ სხვისი მონები არ ვიყოთ. ჩვენის ეროვნულ განვითარებისთვის ეს ერთად-ერთი საშუალებაა, და ვინც ამას ვერა ჰხედავს,—იგი გულწრფელად კი არ აზროვნებს, ხალხის მეგობარი კი არ არის, არამედ ბრმა და უნებლიე დამღუპველი მისი! რას მიჰქვიან უაზრო ფრაზა—გინდ მგელს შეუჭამიხარ, გინდ მგლის ფერ ძაღლსაო, როცა აქ შინაგანი ჭამის საკითხი კი არ არის, არამედ გარეგანი საკითხი მთელის ერის მოსპობისა! რას მიჰქვიან—გურიელები და ჭყონიები! რა სიბრმავეა და აზრის ბჩავობა—სხვის კაპიტალის გაბატონების სიხარული! როცა სხვა თავის მკვიდრ საფუძველს აშენებს და შენ ვერასა ჰხედავ, ან როცა იგი გიქადის მთელ შენ ბუნებრივ სიმდიდრის გამოწოვასა და წასვლას, ან შენს ადგილზე საუკუნოდ დამკვიდრებას? და სატირალი განა ის არ არის, რომ ეს ჭყონიები და გურიელები ვერაფერს ვერა ჰქმნიან, გადაგვარდნენ, და იმის მაგიერ რომ სხვა კლასსი გამოსულიყო, სხვას შეექმნა ქართული ეროვნული სიმდიდრე და აქვე დაეტრიალებინა ეს სიმდიდრე, ჩვენში ეს ახალი შემოქმედებითი ძალა არ გაჩენილა და უცხო სარგებლობს ჩვენის ეროვნულ საფუძვლითა და იგი ჰქმნის თავის ეროვნულ სიძლიერეს? ან იქნება რაჟდენიძე „ლუკმაპურით“, უცხოსაგან გადმოგდებულით, უცხოს ნასუფრალით კმაყოფილდება? მაშინ იგი მართლაც „პროლეტარია“ სულითა და გონებით! მართალია, რომ ქართველს ნატვრაშიაც არა აქვს შნოო! ან იქნებ იმისი იმედი აქვს, რომ ჩვენი პროლეტარიატი უცხო ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას მოახდენს? ბავშვობაა! სანამ საექსპროპრიაციო დრო დადგებოდეს, თუ უცხო ბურჟუაზია და პროლეტარიატი, უცხო კაპიტალიზმი განვითარდა ჩვენში,—აქ სულ სხვა ტიპის ერი შეიქნება, სხვა სოციალური ორგანიზმი, სხვა კულტურა და სხვა ენა. კაპიტალიზმს ხუმრობა არ უყვარს ზარმაცსა და უნიჭო ხალხთან! ან იქნებ ეს სულ ერთია რაჟდენიძისათვის? მაშინ სულ სხვა საკითხია, სთქვას და მოველაპარაკებით ამაზედაც.

დიახ, ბურჟუაზია დიდი ძალაა ერის ცხოვრებაში, და თუ ორი ეროვნების კონკურენციაა ერთს ტერრიტორიაზე, მომავალი იმისია, ვინც ჰქმნის ეროვნულ სიმდიდრეს. აი, რას ამბობს ბიუხერი*), ეს ერთი საუკეთესო მკვლევართაგანი ეკონომიურ მოვლენათა. სწორედ ჩვენ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ქალაქურ ცხოვრებაზეა გამოჭრილი მისი ნათქვამი: „ადვილი წარმოსადგენია, რომ მოსული ელემენტები ერთ რომელიმე ქალაქისა უფრო მეტადა ჰგავს ურთი-ერთსა და ადგილობრივ მცხოვრებთ ზნე-ჩვეულებითა, ენითა, სამეურნეო ენერგიითა, სოციალურ მიდრეკილებითა, იმიტომ, რომ ისინი გადმოსახლდნენ ახლო-მახლო, ამავე ტომით დასახლებულ ადგილებიდან. მეორე ქალაქში კი შეიძლება შორეულ ადგილებიდან მოვიდეს უცხო და მრავალ-ფეროვანი ელემენტები. პირველ შემთხვევაში საბოლოო შედეგი ურთი-ერთისადმი შეგუებისა მოსულ და ადგილობრივ ელემენტთა შორის სრულიად სხვა იქნება, ვიდრე მეორე შემთხვევაში. მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში ცალკე პირები და ჯგუფები, დაახლოვებით ერთისა და იმავე ეკონომიურ მომზადებისანი და სოციალურ ფიზიონომიისანი, მშვიდობიანად მორიგდებიან სამუშაოს შოვნის განსაზღვრულ პირობებში, მეორე შემთხვევაში, ალბად, უფრო სიცოცხლის მქონე, ენერგიული და უფრო მცირე მოთხოვნილებათა მქონე ეროვნება დაამარცხებს გადასულს, სუსტსა და უფრო მეტ მოთხოვნილებათა მქონე ადგილობრივ მცხოვრებთა და განაძევებს მათ შრომის უფრო მომგებიან ადგილებიდან. კონკურენციის დროს უპირატესობა მოსულ მუშისა ადგილობრივის წინაშე განსაკუთრებით მისი მცირე მოთხოვნილებებით განისაზღვრება, რაიც საშინელ შედეგებს იწვევს ადგილობრივ მუშებისათვის. ამისი მაგალითებია ყველასგან ცნობილი გადასახლების ფაქტები პოლონელ მუშათა პრუსსიის დასავლეთ-პროვინციებში, იტალიელთა შვეიცარიაში და სამხრეთ-გერმანიაში, ჩინელთა ჩრდილო-ამერიკის ქალაქებში“.

თითქოს ტფილისში იყოს, ისე ლაპარაკობს ეს მეცნიერი, ისეა ზედგამოჭრილი სწორედ ჩვენზე მისი სიტყვები. რაჟდენიძე კი, რასაკვირველია, სხვა სიბრძნეს მოგვაწვდის.

ჩვენში ჯერ არ არის განვითარებული კაპიტალიზმი, მისი ოდნავ შთანაჩენია, მაგრამ კლასსი ბურჟუაზიისა უცხოა, რომელსაც ეროვნული იერიში მოაქვს ჩვენზედ. იგი აგრეთვე სცდილობს პროლეტარიატიც თავის ეროვნებისა გააძლიეროს. ეხლანდელი მომენტი ჩვენი ცხოვრებისა ისეთია, რომ სასწორი სხვის მხარეზეა გადახრილი, სხვას აქვს მრავალი შანსი ჩვენს ტერრიტორიაზე დამკვიდრებისა, ჩვენი ეკონომიურად სრული დაპყრობისა და ჩვენ მომავალში კი იმედს ვერა ვხედავთ. ან იმდენი უნარი, რომ ეკონომიურად კონკურენცია გავუწიოთ სხვას, და ეს შესაძლებელია ჩვენი პოლიტიკურ ავტონომიით, ან ვიღუპებით,—აი უეჭველი ჭეშმარიტება, რომელსაც დღეს ყოველი გონიერი ქართველი უნდა ჰხედავდეს.

ამას გრძნობენ თვით ესდეკებიც: ისინიც ჰხედავენ ბურჟუაზიაში დიდს ეროვნულ ძალას. მაგრამ რაჟდენიძეს ჰგონია,—ეს ბურჟუობააო და იგი მთელ თავის იმედებს ამყარებს „ერის უდიდეს ნაწილზე“, პროლეტარიატზე, გულიც მოსდის, აბა როდის მივაწერეთ დიდი როლი ბურჟუაზიასაო.—როდის და ცნობილ „პრესსა“-ში, სადაც თქვენ ამბობდით: „ახალ ცხოვრებას (ჰქმნის) ახალი ძალები, ე. ი. ბურჟუაზიული წყობილების წარმომ-

*) იხ. „დროება“, N 188.

*) К. Бюхеръ: „Происхожденіе народнаго хозяйства“, выпускъ II, стр. 186,

…ქვენ ყურადღებას და სხვაფრივაც …მუნდებით, რომ ესეც „ფორმისათვის“ უფრო დაუარსებიათ, რა არის …სთ ქვენ—ხალხის ჯან-მრთელობაზე …ა ზრუნავენო. აქვე კი ბინადრობენ …ქაული, მოსამართლე, გამომძიებელი და მომრიგებელი შუამავალი მათი ავან-ჩავანით…

**არა-ქართლელი.**

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მოსალოდნელი შიმშილი.** დასავლეთ საქართველოდან სამწუხარო ამბები მოდის. თითქმის მთელი იმერეთის მცხოვრებთ შიმშილი მოელით. გამუდმებულ სიცხეებისაგან სულ ერთიან გადამწვარა სიმინდები ზემო და ქვემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და სამეგრელოში. რაჭა-ლეჩხუმში კარგ მოსავლიან წლებშიაც ყიდულობენ საჩოს და ახლა რაღა იქნება. სასყიდელიც რომ იყოს სადმე, ხალხი ისეა დალარიბებული უკანასკნელ სამი-ოთხი წლის განმავლობაში მომხდარ ამბების გამო, რომ იშვიათი იქნება ასს ოჯახში ხუთმა და ათმა შესძლოს ყიდვა.

✦ **ქართველი თუ ოსი მასწავლებელი?** გორიდან გვატყობინებენ: 25 აგვისტოს აქ მოხდა სხდომა საეპარქიო სკოლების საბჭოს გორის განყოფილებისა. სხვათა შორის საბჭოს განყოფილებას განუხილავს საკითხი სოფელ თილვის სამრევლო სკოლის მასწავლებლის შესახებ. სხდომაზე გამორკვეულა შემდეგი: სოფელ თილვაში 300-მდე კომლი მცხოვრებია სოფელზე მიწერილ პატარა სოფლებით. სოფელზე მიწერილ ერთ პატარა სოფელში სცხოვრობს 36 ოსი. თუმცა დანარჩენი მცხოვრებნი ქართველები არიან, რუსული ენის არ მცოდნენი, მაგრამ სასულიერო მთავრობას მაინც შესაძლებლად უცვნია მთიელ ოსის, ორდანის სემინარიაში სწავლა დასრულებულის, ათაევის იქ მღვდლად გამწესება. მღ. ათაევი რუსულ ენაზე ასრულებს წირვა-ლოცვას, ხალხს კი არაფერი ეყურება მისი. ეს კიდევ არაფერი. მღ. ათაევს სამრევლო სკოლების საბჭოსათვის მოუხსენებია: სოფ. თილვაში მცხოვრებთა უმრავლესობა ოსობაა და რადგან ქართველ მასწავლებელს, ედილაშვილს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ოსის სოფელში, კარგი იქნება ის გადააყენოთ და ჩემი ძმა დანიშნოთ მასწავლებლადაო; საბჭოსაც გადაუწყვეტია ედილაშვილის გადაყენება და იმის ნაცვლად ათაევის ძმის დანიშვნა და კიდეც დაუვალებია გორის განყოფილებისათვის სისრულეში მოყვანა ამ გადაწყვეტილებისა. განყოფილებას მთელი სხდომა, 25 აგვისტოს, ამ საკითხის განხილვისათვის მოუნდომებია. წევრნი ამტკიცებდნენ უტყუარის საბუთებით, რომ სოფელ თილვაში მცხოვრებ 300 კომლიდან 264 ქართველია და რა ადგილი აქვს ქართულის ენის არ მცოდნე მღვდელსა და მასწავლებელს ამ სოფელშიო. აირჩია ორი კაცი და დაავალა მათ, მივიდნენ თილვაში, ადგილობრივ გაეგონ საქმის ვითარება, და შემდეგ მოხსენება წარუდგინონ საეპარქიო სკოლების საბჭოს. ამგვარის მოქმედებით სკოლების საბჭო მხოლოდ შუღლსა და მტრობასა სთესავს ქართველსა და ოსებს შორის.

✦ **ყაზბეგის სკოლა.** „განათლების“ საზოგადოების ყაზბეგის სასწავლებელში წელს გაიხსნა მეორე პროგიმნაზიული კლასი. გამგეობას გადაუწყვეტია პროგიმნაზიისთვის საკუთარ შენობის შეძენა ბელინსკის ქუჩაზე და იმედიცა აქვს მალე განახორციელებს ამ აზრს. წელს პროგიმნაზიის მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში 20-მდე თავისუფალი ადგილია. პროგიმნაზიულ კლასებში მიიღეს ზოგი ის მოსწავლე ქალები, რომელნიც ქართველ ქალთა გიმნაზიის გარეშე დარჩნენ. როგორც აღვნიშნეთ, ქალთა გიმნაზიაში უსახსრობისა გამო პარალელური განყოფილება დაიხურა.

✦ **პარადის დროს.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოში დიდის ამბით უდღესასწაულნიათ აღმოსავლეთ-კავკასიის შეერთების 50 წლის თავი. დღესასწაულის დროს ერთი უბედურება მომხდარა. სხვათა შორის გაუმართიათ ჯარის პარადი. ყაზახთა ერთი რაზმი ცხენებით გაქანებული მოდენილა, ცხენიდან გადმოვარდნილა აფიცერი კოკუნკო და ცხენებს ზედ გადაუვლიათ. კოკუნკო გარდაცვლილა. ამას გარდა მძიმედ დაშავებულა ერთი სალდათი და ერთი ყაზაყი, მსუბუქად აფიცერი და ყაზახი.

✦ **კავკასიის ნამესტნიკი.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს პეტერბურგში ელიან. ამბობენ, ნამესტნიკი სექტემბერში ჩამოვაო.

✦ **უვარგისი ხილი.** პოლიციის მე-8 ნაწილში სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა მეხილეს დუქნები და უვარგისობისა გამო ხილი მოსპო.

✦ **ბენეფისი.** დღეს, 27 აგვისტოს, ქართულ თეატრის საზაფხულო განყოფილებაში გაიმართება ბენეფისი ორკესტრის დირიჟორის პოლიკ. ფალიაშვილისა. წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტი: „რაინდი უშიშარი და გულ-მართალი“ და „მეჯლისი იტალიელებთან“. მონაწილეობას იღებენ ტ. და ვ. აბაშიძენი, გედევანოვი, იმედაშვილი და სხვანი.

✦ **კონდუქტორები.** ტფ. პოლიცმეისტერმა სთხოვა გუბერნატორს, აუკრძალოს ტრამვაის კონდუქტორებს სასტვენის ქონა, რადგან ეს სასტვენი პოლიციელების სასტვენსა ჰგავს და პოლიციელები ხშირად შეცდომაში შედიანო.

✦ **წინამძღვარი.** მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად ინიშნება ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ყუბანეიშვილი, რომელიც ბერად აღიკვეცება.

✦ **ერობის შესახებ.** დღეს, 27 აგვისტოს, საღამოსთვის, ქალაქის გამგეობის სადგომში, დანიშნულია საყურადღებო სხდომა პირველ სექციისა ერობის შესახებ. ამ დღეს სექცია განიხილავს მოხსენებებს თ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვისას და ა. ბ. მდივნისას, რომელნიც საჭიროდ სცნობენ გადათვალიერებულ იქნას სექციის დადგენილება ტფ. გუბერნიის სარაიონო ერობად დაყოფის შესახებ.

✦ **თანამდებობიდან გადადგომა.** თანამდებობიდან გადადგა კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე ფენომენოვი.

✦ **საკრედიტო ამხანაგობა.** გორელ ხელოსნებს გადაუწყვეტიათ დააარსონ საკრედიტო ამხანაგობა. შესაფერი შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ.

✦ **სასამართლოში.** 6 სექტემბრისთვის ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე იოსებ მაჭავარიანისა, რომელსაც ჰბრალდება ბროშიურაში: „ვინ არიან ხალხის მტერნი, ს. დ-ები თუ ს.-ფ.-ები“ მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გატარება.

✦ **იუბილეი.** წელს 30 წელიწადი სრულდება, რაც საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობს „მშაკის“ რედაქტორი ალექსანდრე ქალანთარი. როგორც „ზაკ“-ს გაუგია, შემოდგომაზე კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრადა აქვს გადაიხადოს ეს იუბილეი.

✦ ტფ. საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებამ შეატყობინა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის გამგე კომისიას, რომ ტეხნიკოსთა კომისია, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ასრულებს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო თეატრი კანონის მოთხოვნილებას ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველყოფის შესახებ, თეატრს დაათვალიერებს 28 აგვისტოს.

✦ ივლისის განმავლობაში ზუბალაშვილის სახელობის სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი უსარგებლნია 2714 კაცს.

✦ 25 აგვისტოს მიხეილის პროსპექტზე ელექტრონის ვაგონს (№ 771) ქვეშ ჩავარდა ქუჩის მომკირწყვლელი მუშა ბალაკირევი, 17 წლისა, რომელსაც ვაგონმა მარცხენა ფეხი გადასჭრა.

✦ 24 აგვისტოს რიყის ქუჩაზე ელექტრონის ორ ვაგონს შუა მოემწყვდა ედიგაროვის დილიჟანი, რომელშიაც 4 მგზავრი იჯდა. თუმცა დილიჟანს ორივე გვერდები შეამტვრიეს ვაგონებმა, მაგრამ მგზავრებს არა ვნებიათ რა.

✦ მოლნი პერეულოკზე 24 აგვისტოს, ღამის 11½ საათზე, კარბოლის სიმჟავე დალია 16 წლის ქალმა ტატიანა ბელიაევამ, რომელიც სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 17-დან 24 აგვისტომდე ტფილისის სხვა და სხვა უბნებში 23 შემთხვევა ყოფილა გადამდებ სენით ავადმყოფობისა.

# მოწერილი ამბები

**დუშეთი.** ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში დუშეთის მაზრის სოფლებში, უფრო კი მუხრანის, წილკნის და საგურამოს მიდამოებში გავრცელდა ავადმყოფობა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „მუცლას“ უწოდებენ. ავადმყოფობა ასე მიმდინარეობს მომეტებულ შემთხვევაში: ერთი-ორი დღე გააციებ-გააცხელებს, მერე გაჰხსნის მუცელში და აუვარდება პირღებინება. ორ-სამ დღეში ავადმყოფს მთლად მამაკვდავს დაამსგავსებს და მერე უშვებს. თუმცა სიკვდილით აგრერიგად არავინ დაზარალებულა, მაგრამ სახლი მთლად მიხვეულია, როგორც აქ ამბობენ, და ეს ამ ზაფხულის გასაჭირ დღეებში. საჭიროა მაზრის ექიმმა მიაქციოს „მუცლიან“ სოფლებს ყურადღება და წამლები დარიგება მისცეს მცხოვრებთ.

ამას გარდა, ძალიან გავრცელდა ამავე სოფლებში ციებ-ცხელება. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ახალი ქსენონი ანანურაში დამტკიცებულა. ჩემის აზრით კი, როგორც წინადაც ვწერდი, ეს ქსენონი წილკნის სადგურის მახლობლად უნდა გაეხსნათ, რადგან, ვფიქრობ, ბარი უფრო დასავადმყოფებულია, ვიდრე მთა. თუ ქსენონი არ იქნება და არც არის, ეს მაინც მოახერხოს მაზრის საექიმო დაწესებულებამ, რომ სწორედ აი ამ არდადეგის თვეებში —აგვისტოსა და ენკენისთვეში— შემოუარონ ხოლმე მცხეთის ზემოთა სოფლებს და ვის რჩევით, ვის წამლებით, ვის ტფილისით საავადმყოფოში გაგზავნით უშველონ.

სოფ. წეროვანმა საუფლისწულო მამულების გამგეობაში უკვე შეიტანა თხოვნა—ყიდულობენ ტყეს და მინდორ სათიბებს ათ თუმნად დესეტინას. წილკნელებმაც იყიდეს ას დესეტინამდე მამული. დესეტინა თორმეტ თუმნამდე უჯდებათ. გორთვნელებმა განაჩენი დაადგინეს, ნეტასტახელებიც ჩამბულნი არიან მამულების ყიდვაში. საზოგადოთ აქეთკენ გლეხობა ძალიან მოწადინებულებია მამულების შეძენას, მაგრამ ზოგს უსახსრობა, ზოგს გზის უცოდინრობა აფერხებს. მამულების კომისიის არსებობა სრულებით არ იციან.

**მაზრელი.**

—

**ვიატკის გუბერნია.** მე მგონი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არა დროს არ ყოფილან პოლიტიკურნი და საზოგადოდ გადასახლებულნი, როგორც წელს. მარტო ორლოვის მაზრაში გადმოსახლებული შვიდი ათას კაცამდეა. ასეთი მაზრა-კი ვიატკის გუბერნიაში თერთმეტია. ვინც ივნისში ჩავიდა ვიატკაში, არავის საზაფხულო ტანისამოსის ფული არ მიუღია. მასთან საზრდოს ფულს (Кормовые деньги) თვის შესრულებამდი არავის აძლევენ. ისპრავნიკი და ბოქაული მიზეზად იმას იძებენ, რომ თქვენში სამხედრო წესები მოხსნეს; არ ვიცით, თქვენის გათავისუფლების ქაღალდი როდის მოგვივა და ამიტომ საზრდოს ფული წარსულ დღეებისა [illegible] ამის შემდეგ [illegible] დღიურათ მი[illegible] სამოცდა ათ [illegible] აბაზისათვის, მაშინ, როცა ნახევარ-ამოსვლას მანეთ ნახევარი სჭირდება!

ხალხი აქ ძალიან ცუდის თვალით უყურებს გადმოსახლებულებს. მაგალითისათვის ავიღებ სოფელ ვოსკრესენსკს: ამ სოფელში დაგვასახლეს ექვსი გადასახლებული. მივედით თუ არა, სოფელი გაიფიცა და ოთახი არავინ გვაქირავა, რის გამოც 6 დღეს სოფლის სამართველოში დავრჩით. ხალხი ამბობდა, „ესენი მთავრობის გადმოსახლებულნი არიან და სახლიც მან მისცესო“. დიდის გაჭირვების შემდეგ, ვიშოვნეთ ერთი ოთახი, მაგრამ ვაი ასეთ შოვნას. ისე გავიდა ოცი დღე, რომ ჩვენთან არავინ მოსულა. როცა მობედეს დიდის სიფრთხილის შემდეგ, ჩვენს ცხოვრებას გაკვირვებით უცქეროდნენ და გვეკითხებოდნენ, ჩვენ ან საჭმელს როგორ ვაკეთებდით ან როგორ ვჭამთ და სხვა. იმათის აზრით ჩვენ ველურები ვართ…

აქაურების უმთავრესს საზრდოს არჟანოის შავი პური, კარტოფილი და სოკო შეადგენს. ხორცს წელიწადში მხოლოდ ორჯელ სჭამენ, დანიშნულ დღეს—20 ივლის და 16 აგვისტოს. ამ დროს დღეობები იციან. ყველა კომლმა უნდა იშოვნოს ხორცი.

ამ სტრიქონების დამწერმა ჩემის თვალით ვნახე აღნიშნულ დღეს ეკლესიაში თავ-მოყრილი ას ორმოცდა-ათ ფუთამდე ცხვრის ხორცი. იმ დღეს მღვდელს სასწორი ეკლესიაში ეკიდა და მსურველებზე ჰყიდდა ხორცს გირვანქას შაურად.

გადასახლებულები ძალზე მოწყურებულნი არიან წიგნაკებს და გაზეთებს. ხსენებულ მაზრაში გაზეთები და წიგნაკები სანთლით საძებარია. ამიტომ აქაური გადასახლებულები უმორჩილესად სთხოვენ ყველას, ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს გაჭირვებულ ამხანაგებისათვის და მოგვაწოდონ ქართული გაზეთები და წიგნები. **კურტანი.**

—

P. S. თუ ვინმე კეთილს ინებებს და გამოგზავნის რასმეს, ადრესი ასეთი იქნება: Село Воскресенскъ Воскресенской волости, Вятской губернiи Орловскаго уѣзда. Ссыльному грузину.

—

**ს. ქვემო ქვიტირი** (იმერეთი). 16 აგვისტოს ს. ქვემო ქვიტირში, აკაკის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, გაიმართა იავ-

---

შობი ინტერესები და კულტურა აერთებს ერს და ასე ჰქმნის ეროვნებასაო“. ეს ვისი სიტყვებია? გარდა ამისა, ეხლა არ იძახოდა რაჟდენიძე, რომ უცხო კაპიტალიზმმაც კი შეჰქმნა თანამედროვე საქართველო, და რაღა იქნებოდა ჩვენი კაპიტალიზმი და ჩვენი ბურჟუაზია რომ ყოფილიყო! ხოლო ისეა დამონებული ამ საცოდავის აზრით, რომ ხელადვე უარჰყოფს თავის ნათქვამს და იწყებს ჩვეულებრივ იწილო-ბიწილოს ბურჟუაზიის გადაგვარებაზე და პროლეტარიატის ერის საფუძვლობაზე (ისიც ჩვენში). ევროპაში ბურჟუაზიამ მოსჭამა წუთი-სოფელიო!—ეჰ! ბატონებო, იქ რომ მოსჭამოს, ჩვენ აქ რა იმდენი? და რომ არც იქ მოუჭამია და არც გაკოტრებულა ბურჟუაზია პოლიტიკო-ეკონომიურად, როგორც არ გაკოტრებულა ბურჟუაზიული მეცნიერება,—ჯერ არ მიუწვევიათ სორბონნაში პროფესსორებად რაჟდენიძეები—რა უნდა ვქნათ?.. მაგრამ ესეც სულ სხვა საკითხია.

—

„ჩანგის“ მე-14 ნომერში რაჟდენიძე, რუსები რომ იტყვიან, какъ сыръ въ маслѣ катается,—რა უჭირს, ნახა აუარებელი სადემაგოგო მასალა და ხალხთან დაბეზღების სიამოვნებით პირდაპირ სტკბება; ნახა თავად-აზნაურობისა და ეკლესიის შესახებ სალაპარაკო მასალა, რადგანაც ჩვენცა ვთქვით ჩვენს წერილებში ცოტა რამ მათ შესახებ, და აბა როგორ არ უნდა აღელვდეს მისი პროგრესიული გონება ჩვენ რეაქციონერობის წინააღმდეგ, ხალხს რომ გვინდა თავზე მოვახვიოთ თავად-აზნაურობისა და ეკლესიის ბატონობა!.. მაგრამ ჯერ ერთი ის უნდა მოვახსენო რაჟდენიძეს, რომ „ხალხი“ ჩემთვის ფეტიში არ არის, ხალხის ფეხების ლოკვა და მის წინაშე ლამაზ სიტყვათა ლაპარაკი მე მის მტრობად მიმაჩნია და არა მის მოყვრობად. მეორე ის არის საყურადღებო, რომ რაჟდენიძე მხოლოდ დემაგოგიას გაუტაცნია და აქაც თვითონვე აღარ იცის, რასა სჩმახავს: თვით შეუქმნია რაღაც აზრები თავად-აზნაურობისა და ეკლესიის შესახებ, ჩემთვის მოუწერია და თვითონვე ებრძვის ამ რეაქციონურ აზრებს.

არსად არ მითქვამს, რომ თავად-აზნაურობა ჩვენში ერის სასიცოცხლო ძალაა, ხალხი კი არა მეთქი. მე მხოლოდ ისა ვთქვი და კიდევ განვიმეორებ, რომ თავად-აზნაურობის გადაგვარება არ არის სასურველი ისეთ ერის ცხოვრებაში, რომელსაც სხვა სასიცოცხლო ძალები ცოტა ჰყავს, ან სულ არა ჰყავს. მე აქ არც ხალხის მოთხოვნათა და მშვენიერ პროგრამათა შესახებ ვლაპარაკობდი. ხალხს შეუძლია სრული თავისუფლება მოითხოვოს, უდიდეს რეფორმათა განხორციელება, პარტიებს უმშვენიერესი პროგრამების დაწერა შეუძლიანთ, მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ გამარჯვების მაგიერ მათ საშინელი უბედურება და განადგურება განიცადონ—მე ამ შემთხვევაში ასეთ პროგრამებზედა და „მოთხოვნებზედ“ არა ვლაპარაკობდი. მე ვლაპარაკობდი ჩვენი ხალხის მდგომარეობაზე—ამასაც გაგება უნდა.

ჩვენი ხალხი კი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ განსაცდელი მოელის. იგი განადგურებულია ეკონომიურად, სიღარიბის მორევში იხრჩობა, მას ათასგვარი ავადმყოფობა ხრავს და თავისთვის ვერ მოუვლია. მას უმეცრება ანადგურებს და საზოგადოებას არა აქვს იმდენი შეძლება და ძალა, რომ ხალხის განათლებას გაუძღვეს, გამოიყვანოს იგი ასეთის მდგომარეობიდან, გასწიოს უბრალო კულტურული მუშაობა (ჩვენ აქ სოციალიზმზე არა ვლაპარაკობთ). არ არის ჩვენში ბურჟუაზია, როგორც სომეხთა, პოლონელთა და სხვა ერთა შორის, რომელსაც შეეძლოს ამ კულტურულ მუშაობის გაძღოლა. განა მართლა ჭკვიანურია ნარდად მსჯელობა ბ-ნ რაჟდენიძესი, ბურჟუაზიას ეროვნული საქმე და კულტურა არ აინტერესებსო! ეს რომ მართალი ყოფილიყო, მთელი ქვეყნის ისტორიას სულ სხვა სახე ექნებოდა. ეკონომიურად სხვისი მონანი ვართ არა მარტო სიმდიდრის უქონლობის მხრით, არამედ თვით ჩვენი „პროლეტარიატი“ მონაა უცხო კაპიტალისა, მისგან არა თუ ტყავგამძვრალი, არამედ დევნილიც. გლეხი ცალკე ჩარჩისაგან, ცალკე ბიუროკრატიისაგან, ცალკე თავად-აზნაურობისგან არის შევიწროვებული და ძალა-მიხდილს ველარ ძალუძს წელში გაიმართოს და ტერიტორია შეირჩინოს. აი, სწორედ ასეთ პირობებში წარმოადგენს ჩვენი თავად-აზნაურობა გადაგვარების გზაზე დამდგარ კლასს, რომლის საცხოვრებელი, მიწა, ჩვენი ტერიტორია, სხვის ხელში გადადის და ამით ჩვენი ეროვნული საქმე იღუპება. ჩვენ რომ ღონიერი გლეხობა, ან ღონიერი ბურჟუაზია გვყავდეს,—ეს პროცესი ჩვენი ტერიტორიის სხვის ხელში გადასვლისა არ მოხდებოდა, როგორც ეს ვერა ხდება პოლონეთში, და სხვაგან, სადაც არისტოკრატია გადაგვარდა და აღარ შეუძლია ერის დაცვაში დიდი როლი ითამაშოს. ჩვენი ტერიტორია ქართველის ხელში, ბურჟუის ან გლეხის ხელში კი არა, სხვის ხელში გადადის ჩვენი ერის სხვა კლასთა გადაგვარებისა და უძლურების გამო, ეროვნულ სიმდიდრის უქონლობის გამო. ერთად-ერთი სიმდიდრე, მიწაც გვეკარგება, მიწა, რომელზედაც სხვისი ბურჟუაზია „შეაერთებს“ თავის ერს, თავად-აზნაურობა კი უძლურია ხელი შეუშალოს ამ პროცესს, იგი იძულებულია სულ წინააღმდეგია პროცესს შეუწყოს ხელი, მას არა აქვს უნარი სამიწად-მოქმედო კლასად გადიქცეს და ახალი მეურნეობა დაატრიალოს. აი, რას ვამბობდი მე, აი, რა იყო ჩემი უკმაყოფილების საგანი, და სოციალიზმის განხორციელებამდის, როცა მთელი მამულები თავად-აზნაურობისა სხვის ხელში გადავა, როცა წაგვერთმევა სხვა მაზრები, როგორც წაგვერთვა საბარათიანო და ჯავახეთი, როცა მთავრობაც ჩამოგვისახლებს „სასოლდათო“ ელემენტებსა და ჩვენი ტერიტორია მართლად ისე აჭრელდება, რომ „საქართველოს საკითხიც“ შეუძლებელი გახდება,—შეიძლება მაშინ იგრძნონ „ხალხის მეგობრებმა“ მთელი უბედურება, მაგრამ გვიანღა იქნება!

მე სწორედ თავად-აზნაურობის გადაგვარებაზე ვლაპარაკობდი და მისი ადგილის დამჭერ კლასსთა არ-არსებობაზე, რაჟდენიძე კი ხალხისა და პროლეტარიატის სიდიადეზე, ს.-დეკთა რადიკალობაზე და პროგრამაზე მელაპარაკება, ჩვენ ამასა და ამას ვთხოულობთო! ბატონებო, ჩვენ კიდევ მეტსა ვთხოულობთ, მაგრამ აქ არც ამაშია საქმე და არც ამაზე გლაპარაკებოდით. რა შუაშია აქ დემაგოგია და R-ის თავად-აზნაურული მისწრაფება! თუ ხალხთან მაბეზღებთ, აკი გეუბნებით, მე მაგ დაბეზღების არ მეშინიან, სხვა არა იყოს რა, დროც წაუვიდა მაგგვარ დემაგოგიასა დამგონი „ხალხიც“ მიხვდა, რომ მისი ფეხების მლოკველები მაინც და მაინც მისი დიდი ჭკვიანი მეგობრები არ არიან!

ეს კიდევ არაფერი: მე რომ თავად-აზნაურობის უვარგისობაზე ვლაპარაკობდე და ტიპიური ფილისტრი ს. დ—იზმისა სულ წინააღმდეგს მწამებდეს,—ეს არ ახალია, ძველია. მაგრამ სწორედ უსამართლობაა კაცმა სთქვა, მთელი ქართველი თავად-აზნაურობა „ზუბრებიაო“. სხვა არა იყოს რა, თავად-აზნაურთა შორის ჩვენი საუკეთესო ინტელიგენტები მაინც არიან, რომელთა შორისაც ზუბრობას ადგილი არა აქვს. მერე კიდევ, სწორედ იმის მიზეზით, რომ სხვა კლასსებს არ შეუძლიანთ ეროვნულ კულტურაზე ზრუნვა, თავად-აზნაურობა-ღა სცდილობს დღეს, საუბედუროდ, ამ საქმეს გაუძღვეს, რამდენადაც შეუძლიან და რამდენადაც ნებას აძლევს მისი წოდებრივი ინტერესები. ფაქტია, რომ თავად-აზნაურობა, განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში, ზრუნავს ისეთ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოდ, რომლითაც მთელი ერი სარგებლობს, და ისე ზრუნავს, როგორც არსად, არც ერთი თავად-აზნაურობა მთელს რუსეთის იმპერიაში. ამის მადლობა მას ეთქმის, სწორედ იმიტომ, რომ მან ბევრჯერ ითამაშა რეაქციონური როლი, ხშირად ლაქიობდა ჩინმენდლებისათვისა და ჰყიდდა სამშობლოს. უკანვე დაიბრუნეთ, ბ-ნო რაჟდენიძევ თქვენი დემაგოგიური ფრაზები, უგზო-უკვლოთ ნუ ლანძღავთ ნურც კერძო პირებსა და ნურც საერთოდ „კლასსა“, წაკითხულის გაგების უნარიც გქონდეთ ხოლმე, თორემ უამისოდ თქვენს ნალაპარაკევს არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, და, ღვთის წინაშე, მგონი არც ახლა აქვს!

ასეთივე დემაგოგიისა და ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა რაჟდენიძემ საეკლესიო საკითხის გარჩევის შესახებ. ხალხი გაურბის ავტოკეფალიასაო, კლერიკალიზმი რეაქციონერობა არისო, დემოკრატიულ ქვეყნებში ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფასა სცდილობენო, სოციალ-დემოკრატებიც ამას თხოულობენო! არც ერთი ეს აქ არაფერ შუაშია: ხალხი თუ გაურბის ავტოკეფალიას—ძლიერ შემცდარა, მაგრამ ეს სიცრუეა,—ხალხი თანამედროვე მღვდლებს გაურბის და არა ავტოკეფალიის იდეას, რომელიც ხალხს ს.-დ—ებმა შეაძულეს, დაუხატეს რა ავტოკეფალია სულ სხვა გვარად. ავტოკეფალია კლერიკალიზმი კი არ არის, არამედ ბრძოლა რუსეთის კლერიკალიზმ-ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, და

ფასიანი წარმოდგენა. წარმოადგინეს ვ. ბალანჩივაძის ვოდევილი „უბედური დღე“ და შესხის მიერ გადმოკეთებული კომედია „ადამ და ევა“. წარმოდგენისათვის სცენა მშვენივრად იყო მოწყობილი სახლის ფართო აივანზე; საზოგადოებისთვის კი სკამები ეზოში იყო დამზადებული. ბილეთები ბლომად იყიდებოდა. ეტყობოდა, წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრებოდა. ყველას უნდოდა, მოესმინა ნიჭიერ მსახიობების ვ. ბალანჩივაძისა და ნემსასსთვის, რომელნიც წარმოდგენაში იღებდნენ მონაწილეობას. მაგრამ საღამოს 8 საათზე, როდესაც ყველაფერი მზად იყო, უცბად ცა მოიღრუბლა, მოიბუზრა, ასტყდა ელვა-ქუხილი და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ეზოში მყოფი საზოგადოება აირ-დაირია და მიაშურა სახლს თავის შესაფარავად. ეზოში დაწყობილი სკამებიც, წვიმისაგან რომ არ გაფუჭებულიყო, სახლსა და აივანში შეზიდეს. საზოგადოების ერთი ნაწილი შესწუხდა, რომ ასე მშვენივრად მოწყობილი საქმე იშლებოდა; მეორე ნაწილი კი ძლიერ გახარებული იყო წვიმის მოსვლით, რომელსაც ციურ მანანასავით მოელოდა. წარმოდგენის გამგეებმა ცოტა ხანს დაიცადეს, იქნება, წვიმა შეწყდესო, მაგრამ, საიმედო რომ ვერა დაინახეს-რა, იძულებული გახდნენ აეშალათ აივანზე გაწყობილი სცენა და შიგნით დარბაზში მოეწყოთ, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი. დიდის ვაი-ვაგლახით მოაწყეს სცენა; მაგრამ სკამების დადგმა საზოგადოებისათვის შეუძლებელი გახდა მხოლოდ შვიდ წყებად; დანარჩენი საზოგადოება ფეხზე იდგა, როგორც დარბაზში, ისე აივანზე, მაგრამ ტევა მაინც არ იყო. წარმოდგენამ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, საკმაოდ მწყობრად ჩაიარა და ასიამოვნა საზოგადოება. დასასრულ, სცენაზე დადგმულ აკაკის სურათის წინ წაკითხულ იქმნა აკაკისა და ილიას რამდენიმე ლექსი.

როგორც გავიგეთ, წარმოდგენის მთელი შემოსავალი ყოფილა 62 მანეთამდე! აქედან წმინდა შემოსავალი დარჩენილა 37 მანეთამდე. ამინდს რომ ხელი არ შეეშალა და წარმოდგენა ეზოში გამართულიყო, ერთი-ორად მეტი საზოგადოება დაესწრებოდა და შემოსავალიც გაორკეცდებოდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოება, მიუხედავად დიდის გაჭირვებისა, მოვალედ სთვლიდა თავს ბილეთი ეყიდნა და მით დახმარებოდა წიგნთსაცავ-სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოკეთე.

# სპარსეთი

**საუბარი თეირანის პოლიცმეისტერთან.**

„ნოვ. რუს“-ის თეირანელ კორესპონდენტს უსაუბრნია თეირანის პოლიცმეისტერთან ეფრემთან და სხვათა შორის უკითხავს:

— მართალია, ვითომ ბახტიარები და თურქმენები თეირანზე გამოლაშქრებას აპირებენ ტახტიდან ჩამოგდებულ შაჰის საშველადო.

— ეგ ზღაპარია. ბახტიარები ხომ აქ იყვნენ; ახალმა მთავრობამ უხვად დააჯილდოვა, და ისინიც ძლიერ კმაყოფილნი დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ჩვენი უმთავრესი გაჭირვება არის—ფულის უქონლობა. როგორ გადასწყდება ეს საქმე, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რომ მალე უნდა უშველოთ რამე ამ საქმეს.

— რა აზრისა ხართ სპარსეთის მუდმივ ჯარზე? ძნელი იყო თქვენთვის მასთან ბრძოლა? ასეა თუ ისე, ეს ჯარი დიდ ხანს სწავლობდა სამხედრო ხელოვნებას და ახალი იარაღი და ზარბაზნები აქვს.

— სპარსეთის ჯარი მხოლოდ პარადებისთვის დაუმზადებიათ რუსის აფიცრებს. ბრძოლაში კი ის სრულებით არ გამოდგა. ძველმა შაჰმა, როცა გაიგო, რომ მისი ჯარი რევოლიუციონერებს დაჰნებდაო, დაცინვით სთქვა თურმე ლიახოვზე: პორტ-არტურის გმირია, რასაკვირველია, დაჰნებდებოდა!“

შაჰის ყაზახებმა უკან დაიხიეს ენშიმანის პოზიციიდან, რომელიც მიუვალ პოზიციად ითვლება: მისი დაცვა ათ კაცსაც შეუძლიან. მართალია ჩვენ მთებზე მოვუარეთ და ზურგიდან დავემუქრეთ, მაგრამ მეომარს მოხერხება და გამჭრიახობა უნდა ჰქონდეს და სწორედ ეს თვისება აკლდათ რუსის აფიცრებს.

შახაბადთან უფრო დიდ ხანს გასტანა ბრძოლამ; ჩვენ გვყავდა სულ 43 კაცი. მათ-კი 300 კაცი ჰყავდათ და 4 ზარბაზანი, მაგრამ შაჰის ყაზახები მეტად ცუდად იბრძოდნენ: მათი ყუმბარები ან არ უწევდა ჩვენამდე, ან შორს მიდიოდა. ჩვენი ძველ-ძველი ზარბაზნები-კი მიზანს უწევდნენ და ზარალს აძლევდნენ მტერს. ჩვენ მხოლოდ ერთი კაცი დაგვაკლდა, მათ-კი დიდის ზარალით დაიხიეს უკან. აქედან ჩანს, რომ ყაზახთა ბრიგადა თავის რუსის აფიცრებით უვარგისი გამოდგა ბრძოლისთვის: სპარსეთის მთავრობა დიდ ფულსა ჰხარჯავდა ამ ჯარზე, რუსის აფიცრებმა კი ვერ მოახერხეს მისი რიგზე გაწრთვნა. არა მგონია, რომ მათ დიდი სარგებლობა მოუტანონ ახალ მთავრობასაც.

— მართალია, ვითომ რუსის აფიცრები ცარცვა-გლეჯის ნებას აძლევდნენ ყაზახებსო?

— არა მგონია, ეგ ზოგიერთ კორესპონდენტის ფანტაზია უნდა იყოს. მართალია ლიახოვი თავს არ იწუხებდა რუსებისთვის, მაგრამ ცარცვა-გლეჯის ნებას მაინც არ მისცემდა ყაზახებს. შაჰის სხვა ჯარისკაცები-კი რიგზე სცარცვავდა ყველაფერს; ლიახოვს შეეძლო მათი შეკავება, მაგრამ არ მოინდომა...

**როდის წავა მამედ-ალი რუსეთს.**

შაჰად ნამყოფის წასვლა რუსეთში მეტად დაგვიანდა იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობასა და სპარსეთის მთავრობას შორის მოლაპარაკება იყო გამართული შაჰად ნამყოფის ვალების თაობაზე. ეხლა ეს მოლაპარაკება უკვე დასრულებულა და სპარსეთის მთავრობას მოვალეობა უკისრნია ნაწილ-ნაწილ რამდენსამე წელიწადში გადაიხადოს ის ვალი, რომელიც მამედ-ალის აუღია რუსეთისგან. ამ ვალს სპარსეთი საბაჟოების შემოსავლიდან გაისტუმრებს. ამის თაობაზე უკვე დაუწერიათ პირობა, რომელსაც მალე მამედ-ალიც მოაწერს ხელს. ამბობენ, ამ პირობაზე ხელის მოწერის უმალ მამედ-ალი რუსეთისკენ გაემართებაო.

**შაჰად ნამყოფის ჩივილი.**

როგორც ვიცით, შაჰად ნამყოფს შეეჩივლია „რ. სლ.“-ს კორესპონდენტისთვის: მე მზად ვიყავ ხალხის ყოველი მოთხოვნილება შემესრულებინა, მაგრამ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა ხელი შემიშალეს, რუსის საელჩოში დამალვა მირჩიეს და ამით სამუდამოდ გამომასალმეს ტახტსა და სპარსეთსაო.

ასევე უთქვამთ იმავე კორესპონდენტისთვის სეპეხდარსა და სარდალასადსაც: ჩვენ ვიცით, რომ შაჰი თანახმა იყო ყველა ჩვენი მოთხოვნა შეესრულებინა, მაგრამ მერე ეტყობა ვილაცის დარიგებით იგი მოულოდნელად რუსის საელჩოში ჩაჯდა ბესტშიო.

ამ ამბის სხვა მომსწრეებიც ამბობენ, რომ მამედ-ალი-შაჰთან, მის დამალვის წინ, რამდენჯერმე მოვიდა ორი კაცი რუსეთის საელჩოდანაო.

# ოსმალეთის ამბები

**დარდანელის სრუტის საქმე.**

იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ხელი უწერიათ ბერლინის ხელშეკრულობაზე, მოლაპარაკებაა გამართული, რომ მომავალ ზამთარს კონფერენცია შეიკრიბოს სრუტეების საქმეზე. ამ საქმეს თავი აუშალა რუსეთის მთავრობამ, რომელმაც უკვე დაითანხმა ინგლისი და საფრანგეთი.

რუსეთ-ინგლისის დიპლომატია წინადადებას შეიტანს კონფერენციაში, რომ ოსმალეთის დასაკმაყოფილებლად გაუქმდეს ეგრეთ წოდებული კაპიტულიაციის უფლება, ესე იგი უცხოელთათვის განსაკუთრებული სასამართლოები ოსმალეთში.

ამას წინად ფრანგული გაზ. „სიეკლ“-ი ირწმუნებოდა, რომ ოსმალეთის მთავრობა ამ ჟამად მაგდენად დიდ მნიშვნელობას აღარ აძლევს დარდანელის სრუტის საქმეს და ამიტომ იგი ადვილად დასთანხმდება დარდანელის სრუტის გახსნას რუსეთის სამხედრო ფლოტისთვისო.

სამაგიეროდ სხვა გაზეთები სწერენ, რომ ოსმალეთი ეხლაც დიდ უარზე დადგება და არაფრის გულისთვის არ დასთანხმდება რუსეთის წინადადებასო.

**რუსთ-ხელმწიფე აღარ წავა სტამბოლში.**

„რეჩ“-ს შეუტყვია, რომ მომავალ სექტემბერში რუსთ-ხელმწიფე აღარ წავა ბოსფორში (სტამბოლს ახლო) სულთან მაჰმადთან შესახვედრადო. ამას გარდა, რუსთ ხელმწიფე აღარც იტალიის მეფის სანახავად წავაო.

**სამინისტრო კრიზისი.**

ამბობენ, დიდი ვეზირი, ხილმი-ფაშა მალე სამსახურიდან გადადგებაო. ჯერ არ იციან, ვინ დაინიშნება მის მაგივრად.

ვაჭრობის მინისტრს ნორადუნგიანს სამსახურიდან გადადგომის დროს, ეთქვა: მალე თითონ დიდი ვეზირიც გადადგება სამსახურიდანო.

**ახალგაზდა ოსმალთა მოლაპარაკება „დაშნაკციუთიუნთან“**

„კასპი“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა სომეხთა „დაშნაკციუტუნის“ პარტიასთან საერთო პროგრამისა და საერთო მოქმედების პლანის შესახებო.

**რეაქციონერების მუქარა.**

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის გავლენიან წევრებს მუქარის წერილები მოუვიდათ რეაქციონერებისგან ამის გამო კომიტეტის წევრები შეიკრიბნენ, მოლაპარაკება გამართეს და ფიცი დასდეს, რომ ერთმანეთი დაიცვან რეაქციონერთა ტერორისაგან. ახალგაზდა ოსმალთა პროვინციალურმა კრებამ დაადგინა, რეაქციონერების ტერორის წინააღმდეგ ენერგიული ღონისძიება მივიღოთო.

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ. ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტი დასცინის შვეციის მთავრობის წრეებს, რომლებიც ცდილობენ საყოველთაო გაფიცვის მნიშვნელობის დამცირებას:

ასე, მაგალითად, მთავრობის ოფიციალურ ანგარიშში გაფიცულები მოხსენებულნი არიან, როგორც უმუშევრები. ყველაზე მეტად სასაცილოა ის ცნობები, რომლებსაც მთავრობა საზღვარ გარედ ჰგზავნის; მაგალითად გაგზავნილი იყო ცნობა, რომ გაზეთები რიგზე გამოდისო; მთელი ორი კვირის განმავლობაში უცხოეთის გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობა, ვითომ „სტოკჰოლმის ორი გაზეთი „ჩვეულებრივ ფორმატით გამოდისო“. ნამდვილად კი ეს ორი გაზეთი იყო შუადღისა და საღამოს გამოცემა ერთისა და იმავე გაზეთისა და ერთმანეთისგან მარტო დეპეშებით განსხვავდებოდა. ამას გარდა, ამ „ჩვეულებრივ ფორმატით“ გამოცემული ნომრები სავსეა ტყუილ განცხადებებით, ხოლო წერილებიდან იბეჭდება მოგზაურობანი და სხვა დარჩენილი მასალა. რაკი ეს დარჩენილი მასალა არა ჰყოფნიდათ, მოხერხებული ჟურნალისტები ძველ წერილებსაც ჰბეჭდავენ. ასე რომ ახალი მასალა ნომრის 10 პროცენტს ძლივს შეადგენს.

მუშათა კომიტეტი დახმარებას აძლევს მუშებს გაფიცვის საგანგებო ფონდიდან. კომიტეტი თავდაპირველად დახმარებას აძლევს დიდ ოჯახების პატრონებს, მარტოხელ ქალებს, და იმ შავ მუშებს, რომლებიც მცირე ქირას იღებდნენ. შავ მუშებს კომიტეტი ნამეტანის გულუხვობით ეხმარება იმ აზრით, რომ ისინი არ ჩამოშორდნენ გაფიცვას. ახალგაზდა ქალები, რომლებიც ბლომად მიემხრნენ გაფიცვას, დიდ ყოჩაღობასა და მხნეობას იჩენენ. ზოგ მუშას ფულის მაგივრად აძლევენ ბარათებს საამხანაგო დუქნებიდან საქონლის გამოსატანად, ან სასადილოებში პურის საჭმელად; უბინაო მუშებს აძლევენ ბარათებს ღამის თავშესაფარში დასაბინებლად და სხვ. დიდად გასაოცარია, რომ ბევრი, რომელსაც უფლება აქვს დახმარების მიღებისა, არ იღებს ფულს კომიტეტისგან და დაუხმარებლივ გამოდის იოლად.

გაფიცული მუშები, ეტყობა, კარგად სარგებლობენ თავისუფალ დროთი. სახალხო ბიბლიოთეკებმა გამოაცხადეს, რომ მუშებს ერთი ოთხად მეტი წიგნი საკითხავად. მუშათა კავშირების ბიბლიოთეკები მთელი დღე ღიაა და აუარებელი ხალხიც დაიარება იქ. სოციალ დემოკრატიულმა გაზეთმა საგანგებოდ გამოსცა მუზეუმების აღწერა, რომ მუშებს შეეძლოთ მათი დათვალიერება. მაინც დიდძალი მუშა დაიარება მუზეუმებში. ამას გარდა მუშებისთვის კითხულობენ სამეცნიერო და ლიტერატურულ ლექციებს. მრავალი ექიმი ყოველ დღე ჰკითხულობს ლექციებს ჰიგიენასა და პროფესიონალურ სატკივრებზე. მუშების [illegible] ძლიერ [illegible] ხელს [illegible] [illegible] თან მუშებმა შეითხოვეს. ამ გარემოებამ მუშებს მოუპოვა იმ საზოგადოებათა თანაგრძნობა, რომლებიც იბრძვიან ლოთობის წინააღმდეგ.

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**შულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. ზეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—158)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საბუღალტრო კურსები
## ნ. ვ. აბრაამიანისა.
ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.
კურსები „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.
კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.
კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ—8)

ტ. მ. ფილოიანის
## საკომერციო ცოდნის კურსებზე
(მიხეილის პროსპ. N 24/4).
ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფ ს ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—7)

როდესაც ესდეკები მას ებრძვიან, ამით პირდაპირ სინოდს უჭერენ მხარსა; ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, ნუ გვასწავლით, ბ-ნო რაჟდენიძევ, დიდი პროგრესია, მაგრამ სანამ ეს რეფორმა რუსეთში განხორციელდებოდეს, მთელი ბიუროკრატიული მართლ-მადიდებლობა უნდა დაეცეს და ეს კი უურთულესი საქმეა. ყოველ შემთხვევაში ავტოკეფალიის დროს უფრო ადვილია ბრძოლა საქართველოში კლერიკალიზმის წინააღმდეგ, ვიდრე საერთო რუსეთის ბიუროკრატიულ-სინოდიზმის დროს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ ავტოკეფალია ჩვენი უფლებაა, ეროვნული უფლება, და მხოლოდ მონები უარჰყოფენ თავიანთ უფლებასა,—აი, რაშია საქმე. სომხის ინტელიგენცია, არ გეგონოსთ, ბ-ნო რაჟდენიძევ, ნაკლებად თავისუფალი-მოაზრე იყოს, ვიდრე თქვენ, ნაკლები განათლებისა, ნაკლები გულ-წრფელობისა და ნაკლებად მქონე ხალხის სიყვარულისა, მაგრამ იგი არავის არ დაუთმობს თავის ეკლესიის დამოუკიდებლობას. სომხის ეკლესია მთელი ერისათვის დიდი ძალაა, ძალა კულტურული, ძალა განსაკუთრებით უფლებრივი, და აკი მთელი სომხის ერი აღსდგა, როგორც ერთი კაცი, როცა მთავრობამ მოინდომა შელახვა ამ უფლებისა! სჩანს, რაღაცას შეადგენდა მისთვის ეს უფლება, თორემ როგორ შეიძლებოდა ისეთის თავგანწირულებით დაეცვას მთელს ერს თავისი ეკლესია, როგორც ეს სომხობამ ჩაიდინა! მართლაც და, განა რაჟდენიძეს ესმის მარტო თავისი და სხვისი ინტერესები, სომხები კი ისეთი უჭკუონი არიან, რომ თავიანთ ერისთვის სასარგებლო და მავნებელი ველარ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან! დიახ, ავტოკეფალია, საქართველოს ეროვნული უფლებაა. სამღვდელოების ნაცვლად საფრანგეთში ათასგვარი საზოგადოებრივი ძალაა. ჩვენში კი **სამიკიტნოსა** და ორიოდ ბიბლიოთეკის მეტი ჯერ არაფერია, სამღვდელოების ადგილი რომ დაიჭიროს. ამიტომაც იმის სრულ მოსპობაზე ლაპარაკი ჯერ არ შეიძლება მთელს რუსეთში, და კერძოდ საქართველოში. რუსეთში ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან შორეული საქმეა. დღეს კი საზიზღარი ორგანიზაცია სამღვდელოებისა ლოდივით აწევს გულზედ ხალხს. „გაუმჯობესება“ ამ ორგანიზაციისა მორიგი საკითხია ჩვენის ცხოვრებისა. ავტოკეფალია—ერთად ერთი გზაა ამ საკითხის გადასაწყვეტად, გარდა ამისა ჩვენი ავტოკეფალია სწორედ ბრძოლაა „სინოდიზმის“ წინააღმდეგ. ამას სწორედ ის ამტკიცებს, რომ მთელი რუსის შავრაზმელობა, (და მასთან ერთად ს.-დ—ია) ამხედრდება ხოლმე, როცა კი დავიწყებთ ამ საგანზე ლაპარაკს. ავტოკეფალიამ, ბოლოს, უნდა დაგვიბრუნოს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, ასობით მილიონი, რომელიც უკანონოდ წაგვართვეს. ავტოკეფალიამ უნდა აღ დგინოს ჩვენი განცარცული ეკლესიები, დღეს რომ სხვები დაპატრონებიან. იქ მთელი ეროვნული კულტურული საუნჯენი ინახებიან. ავტოკეფალიის დროს მთელი ერი მიიღებს მონაწილეობას სამღვდელოების ორგანიზაციაში. სამღვდელოება გადემოკრატდება. აი, რატომა ვართ ავტოკეფალიის მომხრენი, და არა იმიტომ, რომ კლერიკალები ვიყოთ. მაშ აქაც დაიბრუნეთ უკანვე, ბ-ნო რაჟდენიძევ, თქვენი ლანძღვა-გინება და დემაგოგია,—მიტინგებზე გამოგადგებათ მაგეთი ყვირილი. B.

(დასასრული იქნება)

## პროვოდნიკის
1897 წ.
1888
1908 წ.
## ამხანაგობა
## რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**იყიდება ნაღდად და ცალობით:**
**რეზინის საექიპაჟო შინები,**
**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“** (წითელი),
**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**
**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**
„**პროვოდნიკი**“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.
## ცალობით ვაჭრობა ღელა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.